JANA

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

38025793256219

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190601035

რეგისტრაციის თარიღი

28.05.2019 წ

ნოტარიუსი: მარიკა გოგოლაძე
მისამართი: საქართველო ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი #183
ტელეფონი: (995 32) 234 81 66 marikagogoladze@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას თვრამეტი წლის ოცდარვა მაისს მე, ნოტარიუსს, მარიკა გოგოლაძეს , რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის 183, მომმართა: დარეჯან ხიდეშელმა (დაბ. 01/02/1960წ. თბილისი, რეგისტრირებული: თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 2 ბ. 6 , პ/ნ 01018000411, 17IA33434 გაც. 22/05/2017წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ). მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მინდობილობა

მე, დარეჯან ხიდეშელი, ვენდობი სპარტაკი ახვერდაშვილს (დაბადების თარიღი: 06.10.1960წ. დაბადების ადგილი: თბილისი, პ/ნ 01011060708), რომ ჩემს სახელზე დაარეგისტრიროს, მოახდინოს ჩემს სახელზე ლეგალიზაცია/დაკანონება ნებისმიერი უძრავი ქონებისა, სადაც უნდა მდებარეობდეს და რისგანაც უნდა შესდგებოდეს იგი, იყოს ჩემი წარმომადგენელი ყველა კომპეტენტურ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, ყველა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, ფიზიკურ პირებთან, ქონების მართვის სააგენტოში, გამგეობებსა და მუნიციპალიტეტში, თბილისის მერიაში, მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, წყალკანალში, ს/ს „თელასში“, “ყაზტრანსგაზ“ თბილისში, შპს “ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“-ში, დასუფთავების სამსახურში, იუსტიციის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში შემავალ სსიპ-ებში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და მის არქივებში, საგადასახადო ინსპექციაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მიწის ლეგალიზაციის კომისიაში, ზემოთ ჩამოთვლილ ნებისმიერ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი საჭირო დოკუმენტაცია, ცნობა, განცხადება, გადაიხადოს გადასახადები, მიიღოს ნებისმირი ინფორმაცია, მიიღოს მშენებლლობის ნებართვა, შეასრულოს საპროექტო-სარემონტო სამუშაოები, გააკეთოს აზომვითი ნახაზები, შეიტანოს ცვლილებები და ჩააბაროს დაზუსტებული ნახაზები საჯარო რეესტრში, მოახდინოს უძრავი ქონების, გაყოფა/გამიჯვნა, გაერთიანება, შეიტანოს შესწორება/ცვლილება ნახაზებში, პროექტში, შეასრულოს აღნიშნულთან დაკავშირებით კანონით ნებადართული ყველა მოქმედება, აღმოფხვრას ნებისმერი ხარვეზი საჯარო რეესტრისა თუ სხვა ორგანიზაცია დაწესებულების მიერ შეჩერებულ დოკუმენტაციაში, მოახდინოს კომუნიკაციის შეყვანა ჩემს კუთვნილ ფართში, მოაწეროს ხელი და შეასრულოს კანონით ნებადართული ყველა მოქმედება დაკავშირებული მოცემული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით.

მე შევამოწმე დარეჯან ხიდეშელის პირადობა, ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. მის პირადობასა და ქმედუნარიანობაში ეჭვი არ შემპარვია. მე წავუკითხე დოკუმენტი, მან წაიკითხა და მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი.

ეს მინდობილობა ჩემი თხოვნით შეადგინა ნოტარიუსმა, მარიკა გოგოლაძემ, რომელმაც წამიკითხა იგი. მე მოვიწონე მინდობილობა და მოწონების დასტურად ხელი მოვაწერე მას.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ათი ლარი, დღგ ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი, + ორი ლარი რეგისტრაციის საზღაური, სულ ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29 დეკემბერი, 2011 წ. №507) 31 (VII), 39 და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლებისა.

დარეჯან ხიდეშელი დარეჯან ხიდეშელი

ნოტარიუსი მარიკა გოგოლაძე